ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი

16 თებერვალი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
კონსტანტინე ქავთარაძე	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ირაკლი ავალიანი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
მალხაზ ბასილაძე	– ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში „ღატაკი ოჯახი"-ს სტატუსის მქონე ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 19000 (ცხრამეტი ათასი) ლარი) შედგენასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ. (საკონკურსო განცხადების №1463. 11.02.2015 წ.)

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა 2 (ორი) კონკურსანტმა:

1. ინდ. მეწარმე „ბორის ქირია" – 8000 (რვა ათასი) ლარი.
2. შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი" – 11520 (თერთმეტი ათას ხუთას ოცი) ლარი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 16 თებერვლის 12:30 საათამდე პერიოდით.

განიხილეს: ინდ. მეწარმე „ბორის ქირია"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტების შეფასება.

ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“-მ მიიღო - 34,8 ქულა.

შ.პ.ს „სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრმა“ მიიღო - 32,0 ქულა.

აზრი გამოთქვეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში „ღატაკი ოჯახი“-ს სტატუსის მქონე ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენასთან დაკავშირებით სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ინდ. მეწარმე „ბორის ქირია“.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების (ვლადიმერ ნაკაშიძე) სამსახურმა გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყოს „შემსყიდველსა“ და „მიმოწოდებელს“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დასადებად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე